# ხელშეკრულება N38

,,11"_ნოემბერი_2011 წელი. ქ.მცხეთა.

## 1.ხელშეკრულების დამდები მხარეები

ა) ერთის მხრივ შ.პ.ს. ,,სტ-ოილ"-(ს.ნ.205169538)მისი დირექტორის თეიმურაზ მირესაშვილის სახით,შემდგომში გამყიდველი.

ბ)სსიპ მცხეთის რაიონის ს.ბიწმენდის საჯარო სკოლა(ს.ნ.236087694) მისი დირექტორის ნინელი მამულაშვილის სახით.

## 2.ხელშეკრულების საგანი.

შ.პ.ს. ,,სტ-ოილ"-ის კუთვნილი საავტომობილო საწვავის მიწოდება მყიდველისათვის.

## 3.მხარეთა ვალდებულებები.

ა)გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მიაწოდოს განაცხადით გათვალისწინებული(გამყიდველთან ოფიციალურად შეთანხმებული)ოდენობით საავტომობილო საწვავი.ეტაპობრივი მიწოდების შემთხვევაში მყიდველს გადასცეს შეთანხმებული ოდენობის ტალონი(ქაღალდი),დამოწმებული გამყიდველის კუთვნილი სპეციალური შტემპით ან ბეჭდით.

ბ)მყიდველი ვალდებულია საქონლის მიწოდების დაწყებამდე მყიდველს წარუდგინოს ოფიციალური განაცხადი მისაწოდებელი საქონლის შესახებ.(განაცხადში მითითებული უნდა იყოს საქონლის მიწოდების ფორმა-ეტაპობრივი ან ერთჯერადი).

## 4.მხარეთა მოვალეობები.

ა)გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მიაწოდოს ქვეყანაში არსებული სტანდარტების შესაბამისი ხარისხიანი საქონელი(საწვავი).მყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მყიდველს კანონმდებლობის შესაბამისად გამოუწეროს შესყიდვის დამადასტურებელი საგადასახადო ანგ.ფაქტურა.

ბ)მყიდველი მოვალეა შესყიდული საქონლის ხარისხის შესახებ (ან სხვა სახის) პრეტენზია წარუგინოს მყიდველს შესყიდვიდან არა უგვიანეს 1 საათისა.

## 5.მიწოდებული საქონლის ოდენობა და ფასი.

მიწოდებული საქონლის ოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვროს ეტაპობრივი მიწოდების შემთხვევაში მხარეთა ზეპირი შეთანხმებით,(მიწოდების პერიოდში ფასების შესაძლო ცვლილებიდან გამომდინარე)ხოლო ერთჯერადი მიწოდების შემთხვევაში არსებული ფასების შესაბამისად.

## 6.საქონლის ღირებულების გადახდის ფორმა და გადახდის ვადა.

საქონლის ღირებულებას მყიდველი გამყიდველს აუნაზღაურებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.